ყოველი ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

კვირა, 9 ივნისი 1935 წელი № 133 (4289)

სოციალისტური ხელშეკრულება

ჩრდილოეთ-კავკასიას და ამიერ-კავკასიას შორის

პირუტყვის სულადობის ზრდისა და მეცხოველეობის ხარისხობრივი გაუმჯობესების საუკეთესო მაჩვენებლებზე

პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე აღნიშნა, რომ: „მეცხოველეობის საქმე თავის ხელში უნდა აიღოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა პარტიულმა და უპარტიომ, ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის პრობლემა ახლა წარმოადგენს ისეთსავე პირველ რიგოვან პრობლემას, როგორც იყო გუშინ უკვე წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა“.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმმა 1934 წელს მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის საჭიროდ სცნო „სახელმწიფო თესვის გეგმის მაგალითის მიხედვით, გამოყენებულ იქნას მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მეთოდი, ამასთან დაწესდეს გეგმიანი დავალებანი პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ“...

ჩრდილოეთ - კავკასიის მხარის რესპუბლიკებისა და ოლქების და ამიერ - კავკასიის სოციალისტურ ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის რესპუბლიკათა სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოთა, პარტიული ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო ორგანოების, მოწინავე რაიონების, საჯიშე საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების წარმომადგენლები, შეიკრიბენ რა ქალაქ ტფილისში იმისათვის, რათა დასდონ სოციალისტური ხელშეკრულება 1935 და 1936 წლებში მეცხოველეობის განვითარების შესახებ და გამომდინარეობენ რა იქიდან, რომ „მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება უნდა დადგეს საბჭოთა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში და უნდა წარმოადგენდეს იმის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომ, სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე დაირაზმონ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების მუშაკები და ერთპიროვნული მშრომელი გლეხები მეცხოველეობის დარგში მოცემულ გეგმიან დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად თვითეულ რაიონსა, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში“, — სდებენ სოციალისტური შეჯიბრების ამ ხელშეკრულებას ჩრდილოეთ - კავკასიის მხარესა და ამიერ - კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებზე და **მეცხოველეობის განვითარების იმ სახელმწიფო გეგმის ზევით, რომელიც დამტკიცებულია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1935 წლის 27 აპრილს**, კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს 1935 წლისათვის.

I. პირუტყვის სულადობის ზრდის და მისი ხარისხის გაუმჯობესების დარგში

1 ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა და ჩრდილოეთ - კავკასიის მხარე კისრულობენ **მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ზევით** გამოზარდონ 1936 წლის 1 იანვრისათვის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობებში 1935 წლის 1 იანვრისათვის არსებული დედაპირუტყვის სულადობიდან პირუტყვის შემდეგი რაოდენობა:

	ჩრდილოეთ-კავკასიის მხარე				ამიერ კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა			
	გამოზრდის სახელმწიფო გეგმა ათას სულობით	% სახელმწიფო გეგმის ზევით	აბსოლუტური ზრდა სახელმწიფო გეგმის ზევით	სულ გამოზრდილი იქნება ათას სულობით	გამოზრდის სახელმწიფო გეგმა ათას სულობით	% სახელმწიფო გეგმის ზევით	აბსოლუტური ზრდა სახელმწიფო გეგმის ზევით	სულ გამოზრდილი იქნება ათას სულობით
1. ხბოები								
ა) სარძეო სასაქ. ფერმებში	83,0	2	1600	84,6	87,0	2	1740	88,7
ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობებში	319	2	6300	325,3	601,0	2	12020	613,02
2. ბატკნები და ციკნები.								
ა) მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში	439,0	5	22000	461,0	213,0	5	10650	223,65
ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვ. გლეხთა მეურნეობებში	678,0	3	20300	698,3	977,0	3	29310	1006,31
3. გოჭები.								
ა) მეღორეობის სასაქონლო ფერმებში	92,0	5	4600	96,6	70,0	4	2800	72,8
ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობებში	300,0	1	4500	304,5	440,0	1,5	6600	446,6
4. კვიცები.								
ა) კოლმეურნეობებში	34,8	4	1300	36,1	19,4	—	—	19,4
ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობებში	19,3	3	600	19,9	35,4	—	—	35,4

2 გაადიდონ 1936 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვის სულადობა საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებში სახელმწიფო გეგმით დაწესებული რაოდენობის ზევით, და ეს გადიდება უნდა მოხდეს მოზარდი პირუტყვის გამოზრდის და სულადობის ძირითადი ნაწილის უკეთ შენარჩუნების ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია დადებული ხელშეკრულებით; ამ მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი. პირუტყვის უკეთ მოვლა და შენახვა, დაავადების და სიკვდილიანობის მაქსიმალურად შემცირება, უფრო გასუქებული პირუტყვის ჩაბარება სავალდებულო ჩაბარების წესით, ჯოგის უკეთ დაცვა დანაკლისისაგან და ფერმების ჯოგის დაკომპლექტების გეგმების მთლიანად შესრულება საბჭოთა მეურნეობებისაგან პირუტყვის შესყიდვის და კოლმეურნეებთან დაკონტრაქტების ხარჯზე. პირუტყვის სულადობის გადიდება არ უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილ ციფრებზე ნაკლები:

(ათას სულობით)

	ჩრდილოეთ-კავკასიის მხარე				ამიერ კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა			
	სულადობის სახელმწიფო გეგმ.	% სახელმწიფო გეგმის ზევით	აბსოლუტური ზრდა გეგმის ზევით.	სულ სულადობა.	სულადობის სახელმწიფო გეგმ.	% სახელმწიფო გეგმის ზევით.	აბსოლუტური ზრდა გეგმის ზევით.	სულ სულადობა
1. სარძეო-სასაქ. ფერმები.								
მთელი სულადობა	255,0	10	25,0	280,0	250,0	2	5,0	255,0
მათ შორის დედა პირუტყვი	—	—	—	—	80,0	—	—	80,0
2. მეცხვარეობის სასაქონლო ფერმები								
მთელი სულადობა	1300,0	7	91,0	1391,0	736,0	4,8	35,33	771,33
მათ შორის დედა ცხვარი	650,0	10	65,0	715,0	405,0	4,7	18,99	423,99
3. მეღორეობის სასაქონლო ფერმები								
მთელი სულადობა	115,0	3,5	4,0	119,0	100,0	3,1	3,09	103,09
მათ შორის დედა ღორი	25,0	6	1,6	26,5	23,0	3,1	0,71	23,71

3 უზრუნველჰყონ 1936 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა პირადი სარგებლობის სულადობის ზრდა, 1935 წლის 1 იანვართან შედარებით იმ გზით, რომ მოზარდი პირუტყვის გამოზრდის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შესრულდეს და პირუტყვის მთელი სულადობა უფრო უკეთ, უფრო მზრუნველობით იყოს მოვლილი. ზრდა უნდა იყოს არანაკლებ:

პირუტყვი	ჩრდილოეთ-კავკასიის ზრდის საერთო %	ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბ. ზრდის საერთო %
1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	16,0	16,0
მათ შორის: ძროხები და ფურკამეჩები	10,0	[illegible]
2. ცხვრები და თხები	20,0	18,4
მათ შორის დედა ცხვრები და თხები	19,1	21,0
3. ღორები	35,0	30
მათ შორის დედა ღორები	200,0	26

4 განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ცხენის სულადობის მაქსიმალურად ზრდას მეცხენეობის სასაქონლო ფერმებსა და კოლმეურნეობებში მოზარდი პირუტყვის გამოზრდის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე და ძირითადი სულადობის უკეთ შენახვის, მუშა ცხენის სწორი ექსპლოატაციის, ზოოვეტერინალური მომსახურების უკეთ დაყენების გზით, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა ...

... ჩრდილოეთ - კავკასიის მხარე ... კისრულობენ უზრუნველჰყონ ცხენის სულადობის ზრდა მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში (სახელმწიფო გეგმის ზევით), ხოლო კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდა 1936 წლის 1 იანვრისათვის, 1935 წლის 1 იანვართან შედარებით, არანაკლებ შემდეგი რაოდენობისა.

	ჩრდილო-კავკასიის მხარე		ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა	
	ზრდის %	აბსოლუტური ზრდა	ზრდის %	აბსოლუტური ზრდა
1. მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში	4,0	1,2	2,7	538
2. კოლმეურნეობებში (ცხენები).	2,5	3,8	2,5	1526
3. კოლმეურნეთა და ერთპიროვნული გლეხთა მეურნეობებში:				
ა) ცხენები	4,0	5,9	4,0	10000
ბ) სახედრები და ჯორები	—		10,0	11700

5 ჩრდილოეთ - კავკასიის მხარე და ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა კისრულობენ აუცილებლად განახორციელონ 1935 წელს პარტიის და მთავრობის დადგენილება, რომელიც გულისხმობს მაკე ცხენების სავალდებულო განთავისუფლებას კვიცის მოგებამდე ორი თვით და მოგების შემდეგ ერთი თვით.

ჩრდილოეთ - კავკასიის მხარის და ... დაგრილების სეზონისათვის თვითეულ 25 ფაშატზე თითო ულაყი — მწარმოებელი და თვითეულ 35—40 ძროხაზე — თითო ბუღა — მწარმოებელი.

8 სახელმწიფო ჯიშსაშენი რაიონებისა და საჯიშე საბჭოთა მეურნეობების მოწინავე, სანიმუშო რაიონებად და საბჭოთა მეურნეობებად გადაქცევის მიზნით, ჩრდილოეთ - ...

... ყვის დაფარვას 1935 წლის დაგრილების სეზონში. სავსებით შეასრულონ მეტიზაციის მიღებული გეგმა და უზრუნველჰყონ 1936 წლის ... კავკასიის მხარე კისრულობს ვალდებულებას ფრინველის საინკუბატორო სადგურების რაოდენობა აიყვანონ 50-დე.

II. სახელმწიფო გეგმების, ვალდებულებების შესრულებისა და პროდუქციის გადიდების დარგში

1 ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავისთვის მთლიანად შეასრულონ ხორცის ჩაბარების, რძის ჩაბარების და მატყლის ჩაბარების 1935 წლის სახელმწიფო გეგმები და ვალდებულებანი.

2 გაადიდონ პირუტყვის პროდუქტიულობა და უზრუნველჰყონ სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის ჩაბარება:

ა) გაადიდონ ძროხების წველადობა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში ჩრდილოეთ კავკასიის მხარეში: ბარში 200 ლიტრით, მთაში 100 ლიტრით; აკსფს რესპუბლიკაში: ბარის რაიონებში 70 ლიტრით, ხოლო მეცხოველეობის რაიონებში 90 ლიტრით 1934 წლის ფაქტიურ წველადობასთან შედარებით.

ბ) გაადიდონ მოზრდილი ცხვრის კრეჭა და აიყვანონ იგი:

ჩრდ.-კავკ. მხარეში		აკსფს რესპუბლიკაში	
მერინოსის	—5 კგრ	მერინოსის	—4 კგრ.
მეტისების	—2,9 „	მეტის-მერინოსებისა	—2,9 „
უხეშ მატყლიან ცხვრისა		თუშური ცხვრისა	—2,0 „
ბარში	—1,5 კგრ	დანარჩენ ორსაკრეჭ. ცხვრ.	—2,0 „
მთაში	—1,0 კგრ	მაზეხის და ბალბასისა	—1,8 „

3 გამოჰყონ თვითეულ კოლმეურნეობაში გასასუქებლად სპეციალური ნახირი ანუ იმ პირუტყვის ჯგუფები, რომელიც უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს ან გაიყიდოს საკოლმეურნეო ვაჭრობით, ამასთან მიაღწიონ შემდეგ ხარისხობრივ მაჩვენებლებს:

ა) ცხვარი — 60 პროც. მსუქანი და 30 პროც. საშუალოზე მეტი სიმსუქნისა;

ბ) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არანაკლებ 50 პროცენტისა მსუქანი და 40 პროცენტი საშუალოზე მეტი სიმსუქნისა და არანაკლებ 10 პროცენტისა საშუალო სიმსუქნისა.

III. საკვები ბაზის გაფართოების და განმტკიცების დარგში

1 შეასრულონ საკვები ბალახების თესვის გეგმა და თიბვისა და დასილოსების სახელმწიფო გეგმა, აგრეთვე შეასრულონ საკვების დამზადების გეგმა შემდეგ ღონისძიებათა სავალდებულო ჩატარებით: სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა, ქვების შეგროვება, პირუტყვის გასარეკი ბილიკების მომზადება, პირუტყვის სადგომების წესრიგში მოყვანა, მათი დეზინფექცია და სხვ.

საკვები ფონდის სრული შესწავლის მიზნით და, იმის გათვალისწინებით, რომ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სწორად გამოყენებას და მათი პროდუქტიულობის გადიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს, აკსფს რესპუბლიკა და ჩრდილოეთ-კავკასიის მხარე კისრულობენ ვალდებულებას, 1935 და 1936 წლების განმავლობაში ჩაატარონ ყველა საზაფხულო და საზამთრო საძოვრო უბნების სრული პასპორტიზაცია.

2 ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ ვალდებულებას 1935 — 1936 წლებში ...

IV. ზოოვეტმუშაობის დარგში

...

(ბაგრძელება იხ. 3O-2 გვ.)

ყველგან და ყოველთვის მზად ვიყოთ საბრძოლველად

„პრავდის“ მოწინავე 8|VI

ჩვენი ბელადი ამხ. სტალინი, რომელიც წმინდად იცავს და განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს, ასწავლის პარტიას: ნუ გაგვიტაცებს მიღწეული წარმატებები, ნუ გავმედიდურდებით. ამას იგი მოგვაგონებს მუდამ, განსაკუთრებით ახლა, როცა სოციალიზმის წარმატებანი ყველასათვის ნათელი გახდა.

„ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ჩვენი წარმატებანი დიადი და არაჩვეულებრივია... ეს სიამაყის გრძნობას უნერგავს და თავისი ძალღონის რწმენას უძლიერებს ჩვენს მუშაკებს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ წარმატებებს ზოგჯერ თავისი უარყოფითი მხარეც აქვთ; ზოგჯერ მათ მოსდევს ერთგვარი საშიშროება, რომელმაც, — თუ მას განვითარების საშუალება მიეცი,—შეიძლება მთელი საქმე ჩაშალოს. არის, მაგალითად, საფრთხე, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს შეიძლება თავბრუ დაეხვეს ასეთი წარმატებებისაგან. ასეთი შემთხვევები, როგორც ვიცით, ჩვენ გვქონდა. არის საფრთხე, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, წარმატებებისაგან გაბრუებული, საბოლოოდ გამედიდურდება და დაიწყებს გულდამშვიდებას ისეთი ტრაბახა ლათაიებით, როგორიცაა: „ახლა ჩვენ ცა ქუდად არ მიგვაჩნია, დედამიწა ქალამნადო“, ანდა „ვინ გინდათ, რომ არ მოვსრისოთო“ და სხვ. ეს სრულებითაც არაა გამორიცხული, ამხანაგებო. არა არის რა ასეთ განწყობილებაზე უფრო საშიში, ვინაიდან ეს იწვევს პარტიის განიარაღებას და მისი რიგების დემობილიზაციას... მაშასადამე, ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, არამედ უნდა ვავითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი—არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო ... უმიზნებენ პარტიას. ჩვენ ყველას გვახსოვს ბელადის გაფრთხილება, რომელიც მოგვცა მან თავის მოხსენებაში პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ. მაშინ ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ კვდებიან და უკანასკნელ დღეებს ითვლიან, ისინი შემოტევის ერთი ფორმებიდან გადავლენ შემოტევის სხვა, უფრო მკაცრ ფორმებზე... არ არსებობს ისეთი სისაძაგლე და ცილისწამება, რომლითაც ეს ყოფილი ადამიანები არ უმასპინძლდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ეს, რასაკვირველია, არ არის საშიში. მაგრამ ყოველივე ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, თუ გვსურს სწრაფად და განსაკუთრებული მსხვერპლის გაუღებლად მოვუღოთ ბოლო ამ ელემენტებს.

აი ამიტომაა, რომ რევოლუციური სიფხიზლე წარმოადგენს ისეთ თვისებას, რომელიც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ახლა ბოლშევიკებს“.

სამწუხაროდ ზოგიერთი კომუნისტი ივიწყებს თავისი წმინდა მოვალეობას. მათ არაფერი აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ მხართეძოზე წამოწვენ და ცხოვრობდენ მშვიდობიანად და უდარდელად. კიდევ მეტი, ცალკეული კომუნისტები თვითონ ვარდებიან კლასობრივი მტრის ბრჭყალებში და ასრულებენ მის სოციალურ შეკვეთას. გახრწნილ, გადაგვარებულ, მომენშიკო „კომუნისტების“ ასეთ ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს, კერძოდ, ა. ს. ენუქიძე.

როგორც ცნობილია, ენუქიძეს დიდი პოსტი ეკავა: იგი იყო სსრ ...

... სობრივი მტრის ნაშთები, ისინი ჯერ კიდევ არ გვნებდებიან. ისინი, რომლებსაც ხშირად გარედან ბნელი ძალები აქეზებენ, გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. აშკარა იერიშიდან ისინი გადავიდნენ შეფარულ მუშაობაზე და, საფარიდან მოქმედებენ რა პარტიის წინააღმდეგ რევოლვერით ხელში, შიგ გულში ... რომლებიც დღეს ჰქონდება, კომუნისტების და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ... გულებში ნერგავს ახალ ენერგიას, ახალ ნებისყოფას ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. ეს დადგენილებანი ერთხელ კიდევ მოგვიწოდებენ ჩვენ რევოლუციურ სიფხიზლისა და სიმტკიცისაკენ.

ი. ვ. მიჩურინის ნეშთის გაკვეთა

მოსკოვი, 7 ივნისი. 7 ივნისს ქ. მიჩურინსკში პროფესორებმა ალიაკრიცკიმ და ვოლინსკიმ პროფესორ ლეპორსკის თანდასწრებით გაჰკვეთეს გარდაცვალებული ი. ვ. მიჩურინის ნეშთი.

გაკვეთის შემდეგ დადასტურდა, რომ განსვენებული დაავადებული ყოფილა კუჭის კიბოთი, საერთო არტერიოსკლეროზით, აორტის ანევრიზმით და ... სიკვდილი გამოუწვევია აღნიშნულ დაავადებებს (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა განიხილა იმ ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც უნდა გატარდეს 1935—36 წლებში ... და სასოფლო - სამეურნეო პროფკავშირულ ორგანიზაციათა რწმუნებულებმა თავის მხრივ უნდა გააჩაღონ მუშაობა ...

ხელშეკრულების გაგრძელება

ყონ ა.კ.ს.ფ.ს რესპუბლიკაში 48 შესამოწმებელი პუნქტი პირუტყვის გასაშვებად იალაღზე და 29 სამთაბარო პუნქტი და ჩრდილოეთ - კავკასიის მხარეში 50 შესამოწმებელი და 30 სამთაბარო პუნქტი იალაღებზე ზოოვეტერინალური მომსახურების ორგანიზაციისათვის;

თ) დაამუშაონ 1935 წლის განმავლობაში ბუზანკალით დაავადებული პირუტყვის მთელი სულადობა;

ი) მოაწყონ ა.კ.ს.ფ.ს რესპუბლიკაში 18 სანიმუშო საჩვენებელი ვეტსამკურნალო და 18 ჩრდილოეთ-კავკასიის მხარეში, 6 მოძრავი ვეტლაბორატორია ავტომანქანებზე ა.კ.ს.ფ.ს რესპუბლიკაში და ჩრდილოეთ - კავკასიის მხარეში, 50 სანიმუშო მოძრავი ვეტერინარულ —ზოოტექნიკური ამბულატორია;

კ) გამოსცენ ყველა რაიონში სავალდებულო ზოოვეტსასაძოვრო წესები ნაციონალურ ენებზე;

ლ) უზრუნველჰყონ მსხვილი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები მეცხოველე - ტექნიკოსებით და ყველა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმაში მოაგვარონ საწარმოო აღრიცხვა (წველადობის, კრეჭის და სხვ.).

მ) მოაწყონ 1935 წლის განმავლობაში ა.კ.ს.ფ.ს რესპუბლიკის მეცხოველეობის რაიონებში სულ ცოტა 23 და ჩრდილოეთ - კავკასიის მხარეში სულ ცოტა 25 სანიმუშო ზოოტექნიკური — ქიმლაბორატორია.

V. ორგანიზაციულ-სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში

1 უზრუნველჰყონ საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებში მშენებლობა შემდეგი ოდენობით:

მშენებლობათა სახეები პირუტყვის სადგომების მიხედვით	ჩრდილოეთ-კავკასიის მხარე: პირუტყვ. სადგომების რაოდენობა მ. წ.	ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა: პირუტყვ. სადგომების რაოდენობა მ. წ.
საძროხეები	51,0	65,8
სახბორეები	30,8	—
იზოლატორები. მსხვილფ. რქ. პირუტყვისათვის	2,0	2,8
ფარეხები	438,0	29,45
იზოლატორები ცხვრებისთვის	6,0	2,9
საღორეები	8,4	5,92
იზოლატ. ღორებისთვის	1,5	0,6
თავლა ფერმებისთვის	6,88	0,28
თავლა მუშა-ცხენებისათვის	26,15	0,8
ბაზები მეწველი დედაპირუტყვისათვის	11,0	4,0
თავლები	0,36	—
აბაზანები ცხვრების დასაბანად	—	—
აბაზანები და გაზკამერები	—	—
საზარეები	—	24,38
სათხეები	—	1,0
საკამეჩეები	—	0,15

2 ჩრდილოეთ - კავკასიის მხარე და ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკა კისრულობენ ვალდებულებას 1935 წელს მოამზადონ და გადაამზადონ კურსების საშუალებით:

სპეციალობა	რაოდენობა: ჩრდილოეთ-კავკასიის მხარე	რაოდენობა: ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა
კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები	651	430
მეცხოვ. კოლმეურნ. მოანგარიშეები	700	1.091
ფერმების გამგეები და მეცხოვ. ბრიგადირები	2.045	1.990
ვეტსანიტარები	1.270	1.764
ინსტრუქტორები განაყოფიერების დარგში	80	7
მეძაღლე ინსტრუქტორები	12	2
მეძაღლე ჩობანები	53	80
მეჯინიბეები და მეჯოგეები	700	276
ნალბანდები	400	130
მემატყლეები	200	—
მკრეჭავები	—	75
მეყველეები	150	—
მეხბორეები	2.000	732
მენახირე მწველელები	3.100	3.075
მწყემსები	1.500	300
მეღორეები	548	410
კონტროლიორ - ასისტენტები	640	—
მეცხოველეობის ტექნიკუმები ამიერ კავკასის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში	—	150
ჩობანები	—	1.253
მეფუტკრეები	—	275
მეფრინველე - მეწიწილეები	—	100
დასაგრილებელი პუნქტების გამგეები	—	77
ვეტფერშლები	—	70
სულ	14.059	12.187

3 კულტურულ მდგომარეობაში მოიყვანონ მეცხოველეობის ყველა საჯიშე საბჭოთა მეურნეობა და სასაქონლო ფერმები (ხეების შემოღობვა, სრული რემონტი დაბმული კვების პერიოდისათვის, აგრეთვე პირუტყვის ყველა სადგომის, სალორეების და საჯინიბოების გაწმენდა და დეზინფექცია, სამშობიარო სადგომების და იზოლატორების შექმნა და სათანადოდ მოწყობა ყველა ფერმაში)

4 მოაწყონ მეცხოველეობის ყველა ფერმასთან ზოოვეტერინარული წრეები და წითელი კუთხეები, ამასთან პირველ რიგში უზრუნველჰყონ დიდი ფერმები ბიბლიოთეკებით.

5 უზრუნველჰყონ 1935 წელს მეცხოველეობის ყველა ფერმაში:

ა) შრომის სწორი ორგანიზაციის და აღრიცხვის შემოღება მეცხოველეობის დარგში სანარდო სისტემის საფუძველზე, ამასთან საესებით აღმოფხვრან გაუპიროვნება, გათანაბრება, მიაღწიონ ბრიგადის წევრების დამაგრებას ვადით არანაკლებ სამი წლისა;

ბ) შემოიღონ ზოოვეტმინიმუმის სავალდებულო შესწავლა მეცხოველეობის რაიონების სამხარეო, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული აქტივის მიერ და მეცხოველეობის ფერმების და საჯიშე საბჭოთა მეურნეობების მოსამსახურე პერსონალის მიერ, გამოცდების ჩაბარებით 1936 წლისათვის.

6 უზრუნველჰყონ ფერმების ყველა ჩობანი, მწყემსები, მეჯინიბეები და მეჯოგეები:

ა) ქურქით, ნაბდით, ფარაჯით ან პლაშჩით, ყაბალახით, ხოლო მწველელები — წინსაფრებით და ხალათებით, ამასთან მოაწყონ სავაჭრო ქსელის მეშვეობით ჩობანების მომარაგება ფართო მოხმარების საგნებით (ჩექმები, ჩაჩურები, ჩარექები, ტოლჩები, დანები, ჩანგლები და სხვ.);

ბ) საჭირო მედიკამენტებით და შესახვევი საშუალებებით, საპნით და პირსახოცით.

7 იალაღებზე გამგზავრების ორგანიზაციისათვის რაიონებსა და ოლქებში მოეწყოს კომისიები რაიალმასკომის (საოლქო ალმასკომის) თავმჯდომარის თავმჯდომარეობით ვეტერინარული ექიმის, ზოოტექნიკოსის, მიწგანის გამგის მოადგილის, საქ. კ.პ. (ბ) რაიკომის და საქ. ალკკ რაიკომის წარმომადგენლის მონაწილეობით;

8 მოაწყონ ფერმებში უფრო გამოცდილი კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისაგან მეცხოველეობის ხარისხის ინსპექციები და პირუტყვის 1936 წლის აღწერისათვის უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების და ფერმების მთელი განსაზოგადოებული ჯიშიანი პირუტყვის საყოველთაო ნუმერაცია.

9 ჩრდილოეთ - კავკასიის მხარე კისრულობს ჩაატაროს 1935 წელს მეცხოველეობის ყველა რაიონში მეცხოველეობის გამოყვანა - გამოფენა; ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა 1935 წლის შემოდგომაზე აწყობს მეცხოველეობის 27 საოლქო და რაიონულ გამოყვანა - გამოფენას.

10 ამ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე შეფარდებით, ჩრდილოეთ - კავკასიის მხარის და ამიერ - კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ცალკეული რესპუბლიკები, ოლქები და რაიონები იწვევენ ერთმანეთს შეჯიბრებაში და ურთიერთშორის სდებენ სოცშეჯიბრების ლოკალურ ხელშეკრულებებს მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

11 შეჯიბრებაში ჩაბმული მხარეები ყოველთვე ასაჯაროვებენ ცენტრალურ ორგანო „პრავდას", საკავშირო მიწსახკომს და „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს".

12 ამ ხელშეკრულების შესრულების შემოწმების წესს ადგენს ჟიური.

13 ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო მუშაობის პროცესში, ხელშეკრულების დამდები მხარეები ჩრდილოეთ - კავკასიის მხარე და ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა ჟიურის მიერ დადგენილ წესთან შეფარდებით ატარებენ შეჯიბრების ხაზით ნაკისრ ყველა იმ ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის და შედეგების ურთიერთშემოწმებას, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებაში, და 1936 წლის დამდეგს აჯამებენ 1935 წელს მეცხოველეობის განვითარებისათვის წარმოებული შეჯიბრების შედეგებს და იმუშავებენ მეცხოველეობის დარგში შეჯიბრების პირობებს 1936 წლისათვის.

ჩრდილოეთ - კავკასიის მხარის და ამიერ - კავკასიის წარმომადგენლები:



ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

(ჩრდილოეთ-კავკასიის მხარის წარმომადგენლები:

სამხარეო ალმასკომის თავმჯდომარე პივოვაროვი, სამხარეო ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ფეოდოროვი, ყაბარდო - ბალკარის ოლქის მიწგანის უფროსი ფადეევი, დაღესტნის მიწსახკომი ტაგიევი, ჩრ.-ოსეთის ოლქის მიწგანის უფროსი არსალოვი, ჩეჩნეთის საოლქო ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე კაზალიევი, კოლმეურნეობა „წიგნის" მეცხვარეობის ფერმის გამგე ტერეშჩენკო, ევგოევი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი), ფერმის გამგე, საოლქო კომიტეტის სას.-სამ. განყოფილების გამგე ფეოდორიშჩევი და სხვ.).

(ამ.-კავკასიის სფს რესპუბლიკის წარმომადგენლები:

ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მუსაბეკოვი, ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ილიუშინი, ა.-კ. მიწსახკომი ბუნიატ-ზადე, საქ. კ.პ. (ბ) ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სას. სამ. განყ. გამგე დოლიძე, ა.-კ. მიწსახკომის მოადგილე გუმელინი, საქ. მიწსახკომის მოადგილე გვარამია, სიღნაღის რაიკომის მდივანი წითლიძე, ნახჩევანის მიწსახკომი ახუნდოვი, ბასარგეჩარის რაიკომის მდივანი დანელიანი, ქედაბეკის რაიალმასკომის თავმჯდომარე ბაგიროვი, სომხეთის მიწსახკომის მოადგილე შახნაზაროვი, ყაზახის რაიონის ამხ. სტალინის სახ. ფერმის გამგე კაფაროვი, მთიანი ყარაბახის საოლქო კომიტეტის მდივანი პოღოსოვი, აზერბეიჯანის მიწსახკომის მოადგილე პალატ-ზადე, აზერბეიჯანის მიწსახკომის მთავარი აგრონომი-ზოოტექნიკოსი ბარნაბოვი, ყაზახის რაიალმასკომის თავმჯდომარე ფატულოვი, ახალქალაქის რაიალმასკომის თავმჯდომარე ტომასიანი, მთლიანი ყარაბახის ფერმის გამგე ვ. არუთინოვი).

ჩაი

ფოთლის კრეფა 5 ივნისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

რაიონები	მოკრეფილია ივნისის 5-მდე	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტ.
ბათუმის	14.490	19,2
ქობულეთის	47.186	13,0
გალის	6.360	5,6
ოჩემჩირის	2.956	8,6
მახარაძის	91.636	10,4
ჩოხატაურის	5.657	5,8
ლანჩხუთის	11.738	3,6
სამტრედიის	704	16,1
ხონის	397	6,5
ტყიბულის	304	13,8
სენაკის	6.020	5,3
მარტვილის	5.143	13,5
ზუგდიდის	15.532	26,7
წალენჯიხის	1.486	2,0
ჩხოროწყუს	1.017	3,8
ხობის	20,52	11,5
აჭარმიწსახკომის ტრესტი	—	—
სულ	212.678	8,8

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში 75 პროცენტით შესრულდა,—მოიკრიფა 2.001.013 კილო ფოთოლი, ნაცვლად 2.665.900 კილოგრამისა. მაისის თვის დანაკლისი — 664.887 კილოს რაოდენობით დაემატა ივნისის გეგმას.

ამრიგად ივნისში (მაისის დანაკლისის ჩათვლით) სულ უნდა მოიკრიფოს 2.415394 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

საქ. მიწსახკომის ზემოთ მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ ივნისის პირველ ხუთდღიურში საგრძნობლად შენელდა ჩაის კრეფის ტემპები. აღნიშნულ ხუთ დღიურში მოიკრიფა სულ 212678 კილო ჩაი, ეს იმ დროს, როცა მაისის უკანასკნელმა ხუთდღიურმა მოგვცა 481.585 კილო. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელიც არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ასე მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილების და ამხ. ბერიას მითითების საფუძველზე ჩაის რაიონებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაღწიონ ჩაის კრეფაში მკვეთრ გარდატეხას. ივნისის გეგმა მაისის დანაკლისის ჩათვლით დროზე და მთლიანად უნდა შესრულდეს.

ბ-ნი ედუარდ ბენეში ჩამოვიდა მოსკოვში

მოსკოვი, 8 ივნისი. 8 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ედუარდ ბენეში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი მეუღლე, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ბ. კუჩერი და მინისტრის მდივანი ბ. გლავაჩეკი.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ. ბენეშს გაუმართეს საზეიმო და მეგობრული შეხვედრა.

მინისტრის შესახვედრად სადგურზე მოვიდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი თავისი მეუღლით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კრესტინსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, მეორე დასავლეთის განყოფილების გამგე ამხ. დ. გ. შტერნი, პრესის განყოფილების გამგე კ. ა. უმანსკი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ამხ. ბ. ს. გორბაჩევი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი ამხ. ა. ი. გეკერი, საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ა. ი. აროსევი, ჩეხოსლოვაკიის მოსკოველი მისიის მთელი შემადგენლობა, საფრანგეთის ელჩი ბ. ალფანი, რუმინეთის ელჩი ბ. ჩიუნტუ, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი.

11 საათსა და 35 წუთზე მატარებელი მოუახლოვდა პერონს. ბენეში გამოვიდა ვაგონიდან ამხ. ლიტვინოვის და ჩეხოსლოვაკიის ელჩის ბ. პავლუს თანხლებით (ბ. პავლუ მინისტრს საზღვარზე შეხვდა) და მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. შემდეგ ბ. ბენეშმა და ამხ. ლიტვინოვმა ჩამოიარეს საპატიო ყარაულის ფრონტს. ორკესტრმა შეასრულა ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური ჰიმნი და „ინტერნაციონალი". პერონის ბოლოსა და ვაგზლის შენობაში მყოფი საზოგადოება გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის სტუმარს — ჩეხოსლოვაკიის მინისტრს. გაისმის მქუხარე ტაში.

მიკროფონის წინ ხმოვანი კინოსათვის ბ. ბენეშმა სთქვა:

„ნება მიბოძეთ მოგესალმოთ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის და ჩეხო-სლოვაკიის ხალხის სახელით.

მე უქველი ხალისით ჩამოვედი მოსკოვში იმისათვის, რომ განვამტკიცო ურთიერთმეგობრული დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის. მე მსურს ევროპაში ყველამ დაინახოს და შეიგნოს, რომ ეს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებს შორის ისახავს ერთადერთ მიზანს: მშვიდობიანობის განმტკიცებას და შენარჩუნებას. მე იმედი მაქვს, ეს ურთიერთობა ჩვენსა და თქვენს შორის, ჩემი ჩამოსვლის შედეგად, არამც თუ განმტკიცდება, არამედ მომავალშიაც შენარჩუნებული იქნება.

ვაგზლიდან ბ. ბენეში გაემგზავრა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ ბინაზე, რომელიც მას მიუჩინეს.

**

იმავე მატარებლით მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში ამხ. ს. ს. ალექსანდროვსკი (ადს).

დოქტორი ბენეში ამხ. მ. მ. ლიტვინოვთან

ურთიერთდახმარების ხელშეკრულების, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებულ სხვა შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა.

მოსკოვი, 8 ივნისი. გუშინ, 8 ივნისს, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორ ედუარდ ბენეშმა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა და დოქტორმა ბენეშმა ერთმანეთს გადასცეს ურთიერთდახმარების იმ ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები, რომელიც დადებულია საბჭოთა კავშირსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის და ხელმოწერილია პრაგაში ა.-წ. 16 მაისს.

ერთსადაიმავე დროს მ. მ. ლიტვინოვმა და დოქტორმა ბენეშმა ერთმანეთს გადასცეს სარატიფიკაციო სიგელები ვაჭრობის და ნაოსნობის ხელშეკრულებისა და ხამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ დადებული შეთანხმებისა, რომლებიც ხელმოწერილია პრაგაში ა. წ. 25 მარტს, აგრეთვე ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ორ ქვეყანას შორის საფოსტო ამანათების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

სარატიფიკაციო სიგელების ზემოაღნიშნულ გაცვლა-გამოცვლას და შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ნ. ნ. კრესტინსკი, ჩეხო-სლოვაკიის ელჩი მოსკოვში ბ. ბოგდან პავლუ, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პრაგაში ამხ. ს. ს. ალექსანდროვსკი, ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ბ. კუჩერი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ამის შემდეგ ამხ. ლიტვინოვსა და დოქტორ ბენეშს შორის გაიმართა ხანგრძლივი მეგობრული საუბარი, რომელსაც დაესწრნენ ბ. პავლუ და კუჩერი და ამხ. კრესტინსკი და ალექსანდროვსკი (ადს).

ინგლისის ახალი კაბინეტი

ლონდონი, 7 ივნისი. გამოცხადდა ახალი კაბინეტის შემდეგი შემადგენლობა:

პრემიერი — ბოლდუინი (კონსერვატორი, უკანასკნელ კაბინეტში ეჭირა საბჭოს თავმჯდომარე ლორდის პოსტი).

საბჭოს თავმჯდომარე ლორდი— რამზეი მაკდონალდი (ნაციონალ-ლეიბორისტი, ყოფილი პრემიერი).

საგარეო საქმეთა მინისტრი — ხორი (კონსერვატორი, 1922-23 წლებში ეჭირა ავიაციის მინისტრის პოსტი და ინდოეთის საქმეთა მინისტრის პოსტი მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში).

უპორტფელო მინისტრი სპეციალური რწმუნებებით ერთა ლიგაში ინგლისის წარმომადგენლობის ხაზით — იდენი (კონსერვატორი, ბეჭდის შემნახველი ლორდი უკანასკნელ კაბინეტში).

ფინანსთა მინისტრი — ნევილ ჩემბერლენი (კონსერვატორი, ეჭირა იგივე პოსტი მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში.

სამხედრო მინისტრი — ლორდი გალიფაქსი (კონსერვატორი).

საზღვაო მინისტრი — ეირეს მონსელი (კონსერვატორი, მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში ეჭირა კოლონიების მინისტრის პოსტი).

ავიაციის მინისტრი — კენლიფ ლისტერი (კონსერვატორი, ეჭირა კოლონიების მინისტრის პოსტი მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში).

ვაჭრობის მინისტრი — რენსიმენი (კონსერვატორი, ეჭირა იგივე პოსტი ბოლდუინის უკანასკნელ კაბინეტში).

დომინიონების საქმეთა მინისტრი—ტომასი (ნაციონალ-ლეიბორისტი, ეჭირა იგივე პოსტი მაკდონალდის კაბინეტში).

ინდოეთის საქმეთა მინისტრი — ზეტლენდი (ბენგალიის პროვინციის ყოფილი გუბერნატორი 1917-22 წლებში და ინგლის-ინდოეთის მრგვალი მაგიდის კონფერენციის წევრი 1930-31 წლებში).

ჯანმრთელობის მინისტრი — კინგსლი ვუდი (კონსერვატორი, უკანასკნელ კაბინეტში ეჭირა ფოსტის მინისტრის პოსტი).

განათლების მინისტრი — სტენლი (კონსერვატორი, მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში იყო შრომის მინისტრად).

შინაგან საქმეთა მინისტრი — ჯონ საიმონი (ნაციონალ-ლიბერალი, უკანასკნელ კაბინეტში იყო საგარეო საქმეთა მინისტრად).

ლორდი კანცლერი — ხეილშემი (კონსერვატორი, უკანასკნელ კაბინეტში იყო სამხედრო მინისტრად).

ბეჭდის შემნახველი ლორდი — ლონდონდერი (კონსერვატორი, ავიაციის მინისტრი უკანასკნელ კაბინეტში).

შოტლანდიის საქმეთა მინისტრი — გოდფრეი კოლინსი (ნაციონალ - ლიბერალი).

ფოსტის მინისტრი — ტრაიონი (კონსერვატორი, ყოფ. პენსიების მინისტრი 1922-24 წლებში).

შრომის მინისტრი — ბროუნი (ნაციონალ - ლიბერალი, მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში ეჭირა სამთამადნო მრეწველობის საქმეთა მინისტრის პოსტი).

საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — ორმსბი გორი (კონსერვატორი, მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში ეჭირა იგივე პოსტი).

მიწათმოქმედების მინისტრი — ელიოტი (კონსერვატორი, მაკდონალდის უკანასკნელ კაბინეტში ეჭირა იგივე პოსტი).

კოლონიების საქმეთა მინისტრი— მალკოლმ მაკდონალდი (ნაციონალ - ლეიბორისტი, ყოფილ პრემიერ მაკდონალდის შვილი, მაკდონალდის კაბინეტში 1931 წელს ეჭირა კოლონიების მინისტრის ამხანაგის პოსტი და 1932 წელს — დომინიონების მინისტრის ამხანაგის პოსტი).

უპორტფელო მინისტრი — ლორდი პერსი (კონსერვატორი, 1924-დან 1929 წლამდე იყო განათლების მინისტრად) (ადს).

დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა ლავალის მთავრობას

პარიზი, 7 ივნისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ახალი მთავრობა დღეს წარუდგა დეპუტატთა პალატას. პრემიერმა ლავალმა გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, აგრეთვე ტექსტი კანონპროექტისა, რომლის მიხედვითაც „სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლის და ფრანკის დაცვის მიზნით" მთავრობას ეძლევა საგანგებო რწმუნებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ხარჯების შემცირებას, აღმოფხვრან ბოროტმოქმედებანი და აღადგინონ საფრანგეთის სახალხო მეურნეობა.

დეპუტატთა პალატამ, გამოუცხადა რა ნდობა მთავრობას, 412 ხმის უმრავლესობით 137-ის წინააღმდეგ უარყო წინადადება ინტერპელაციის განხილვის შესახებ, რის შემდეგ დეპუტატთა პალატის სხდომა შესწყდა 21 საათამდე, რათა საშუალება მიეცეს საფინანსო კომისიას განიხილოს პროექტი საგანგებო რწმუნებათა შესახებ (ადს).

მარჯანიშვილის თეატრი | 9 ივნისს | აბ. № 1. 8 წარ. წარ. № 173 განურჩევლად პიროვნებისა | დასაწყისი სალ. 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 — ემა ცესარსკაია ახალ ხმოვან სურათში სიყვარული და სიძულვილი
დამკვრელი (საზაფხ. საჰამთოო) 6, 7-30 9, 10-30 — მხატვრული კომედია ქალად წყალჯომარდი
ტემპი (საზამთ.) 7. 8-45, 10-30 — მხატვრული სურათი მონასტრის კედლებს იქით
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი) 8-45, 10-45 — განსაკუთრ. წარმატება! დადგმ. მე-4 კვირა ცხარე დღეები
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30 — დადგმის მე-2 კვირა ხმ ფილმი უკანასკნელი მასკარადი
ეთერი (საზაფხ.) 8-45 10-30 — მხატვრული კომედია ბებიების ჯანყი
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 — საზამთ. ახალი ხმოვ. ფილმი—გლეხები; საზაფხ. განწირულნი—1-ლი სერია
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30. — განწირულნი უკანასკნელი სერია

გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობის სტამბა ღებულობს მოწაფეებს ორივე სქესისას 18 წლიდან ზევით. პირობების გაგება შეიძლება სტამბის ადმინისტრაციასთან, კამოს ქ. № 68.

თანახმად საქ რთვილოს სკსმ-ის სარეწ.-სამრეწველო სექტორის ა-წ. 29 მაისის დადგენილებისა, ხდება სარეწაო საწარმ. არტ. „ჩვენი შრომა"-ს ლიკვიდაცია. ვისაც აღნიშნულ არტელთან პრეტენზიები აქვთ, შეუძლიათ წარუდგინონ მას 10 დღის ანძ ვლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა, ყოველ დღე დილით 9—11 საათამდე, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები მხედველობაში მიღებული არ იქნება. მისამართი—პუშკინის ქ. 3, სარეწაო სამრეწველო სექტორის ლიკვიდკომს. 8502 ლიკვიდკომი.

ტფილისის რუსული ენისა და ლიტერატურის პედტექნიკუმი აცხადებს, რომ 19 ივნისიდან გაიხსნება პედტექნიკუმისათვის ერთწლიანი უფასო მოსამზადებელი კურსები. გამოცდების ჩაბარება და ჩამწერლებად ჩარიცხვა მოხდება მეცადინეობის დამთავრებისთანავე 15—20 ივლისს, საშემოდგომო მისაღები გამოცდების შესახებ (ვინც კურსებს არ გაივლის) ცალკე იქნება გამოცხადებული. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: არასრული საშუალო სკოლის დამთავრების, დაბადების, სოციალური მდგომარეობის, პარტიულობის, ჯანმრთელობის საექიმო ბიგარასთან დაძოკიდებულების (ვისაც ეხება) მოწმობები და ორი ცალი დამოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. მისამართი: ტფილისი, ბელგიის ქუჩა № 4. 8504 დირექტორი დ. თოფურია.

ექიმი ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს 6½—8½ საათ მიქაძარის კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის ბაღთან). პირდაპირ

ექიმი ბერიშვილი ვენერიული, საშარდესასქესო, სიფილისი და კანის სნეულებანი. დილით 9—12 ს. და საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე") გასწვრივ ჩოდრიშვილის (ყოფ. „პლეხანოვის") შესახვევი № 8. 10—5 8070

ექიმი ვ. შ. ოთხმეზური ქირურგიული სნეულებანი. ავადმყ. მიღება საღ 5—7-მდე. ლენინგრადის № 7ქ. 6643 5 ბ

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად. პასპორტი № 55520/857 გულან აბშედოვის სახელზე. პარტბილეთი № 0851316 ალექსანდრე ივ-ძე სამსონიას სახელზე. პარტბილეთი № 31054 არშალუის ბაღდასაროვის. ტრამვაის ბილეთი № 419 შალვა პაპალაშვილის. აქტი № 3 ცხენის ჯილდოს მისაღები გაცემული ძუძლეთის სასოფლო საბჭოდან კოსტა გარსევანის ძე გაჯღიშვილის სახელზე

დამწუხრებული მეუღლე დომენტი, სიდედრი სალომე, შვილები: კარლო, ნელი, დორა, და ვახტო ღრმა მწუხარებით იუწყებიან ანგელინა ქუჩულორიას უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ივნისს გაგრაში. 8506

საქზსტრანსის სამმართველოს პარტკომი მწუხარებით იუწყება მტკიცე ბოლშევიკის, მე-X უბნის უფროსის ამხ. ჩიტო ნაცვლიშვილის უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სტალინირში 9 ივნისს. 8495

ვ. ქურდაძე და მ. კუხალეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქზსტრანსის მეათე უბნის უფროსის, საუკეთესო ამხანაგის და თანამშრომლის ამხ. ჩიტო (კრისტესია) ნაცვლიშვილის უდროოდ გარდაცვალებას. 8495

გარდაიცვალა ელენე დიმიტრის ასული ბახტაძე რასაც მწუხარებით იუწყებიან დედა მარიამი, დები: ნინო, სონია, ვერა, საშიკო და ძმა მიშა. გამოსვენება დღეს, 9 ივნისს 5 ნახ. ს. კოჯორის ჩიხი № 3. 8485

ქმარი კოსტა, შვილი მურმანი, დედა არეთა, და დისა, სიდედრი კეკელა იუწყებიან უძვირფასეს ფატი პეტრეს—ასული კუჭავასი უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან 10 ივნისს 3 ნახ. ს. სადგურზე. დასათოიბა ახალ

დამწუხრებულნი: ვარლამი და ლენა გუგუშელები იუწყებიან უახლოესი მეგობრის დომენტი ქუჩულორიას მეუღლის ანგელინა ქუჩულორიას უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ივნისს ახალ გაგრაში. 8496

მშობლები: პოლინე, გიორგი, დები: ნინა, მარუსია, თამარა, ძმები: ბენია, შალვა იუწყებიან გალაქტიონ ჩიგოგიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 9 ივნისს 5 ს. პლეხანოვის № 197-199, ტრამვაის ს-ლოს 1 კორპუსიდან კუკიის სასაფლაოზე. 8497

დამწუხრებული მეუღლე რაჟდენი (რიხა) დედით თეკლეთი, შვილები ჩიტო, გვრიტო, და ცისანა იუწყებიან, რომ ვერის სასაფლაოზე 12 ივნისს 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ თამარ რატიანი—ესებუას ხსოვნის აღსანიშნავად. 8499

უახლოესი ამხანაგები და მეგობრები: ი. აბრამიშვილი, ნ. მამაცაშვილი, ივ. ელიაშვილი, ს. სეფერთელაძე, ლ. ჭყონია, ს. გოგსაძე, გ. ჟორდანია, გ. თარხნიშვილი, ი. შუკაკიძე, დოხიკიანი, მინასზგიგოვი და მ. ლომიძე უღრმესი მწუხარებით იუწყებიან ამხ. ჩიტო პეტრეს-ძე ნაცვლიშვილის უდროოდ გარდაცვალებას.

დამწუხრებული ქმარი ონისიმე შვილით გრიშა დავითულიანები და მთელი ოჯახის შემადგენლობა იუწყებიან, რომ 9 ივნისს საღამოს 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ მარო სარდიონის—ასულ დავითულიანის ხსოვნის აღსანიშნავად. 8498

დამწუხრებულნი დედა ბაბორე, ძმები შალვა, სერგეიანე, ტიტიკო, ლადიკო მელიქაძეები ცოლშვილით, დები: ემმა და ელიქა ქმარშვილით იუწყებიან დაუვიწყარ თინა ლუკას—ასული მდინარაძის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 8 ივნისს ვაკისუბანში. 261

დამწუხრებული ინჟინერი გრიგოლი გ. ნარსია მეუღლე მაგუსიათი, შვილებით: ბეჭიკო და ანიკო იუწყებიან საყვარელ ძმის ვლადიმერი ეგნატეს-ძე ნარსიას უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე, ქუთაისში გოგებაშვილის ქ. № 33. 8501

დამწუხრებული ბიქტორ ფოტინე კოპაძეები, შვილი ატუა ოჯახობით, რძალი ნადია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარ სიძე ვლადიმერ ეგნატეს-ძე ნარსია გამოსვენება ქუთაისში, გოგებაშვილის ქ. № 33 საფირჩხის სასაფლაოზე. 8500

საქ. კ.-გ. სამმართველოს და ფოსტატაის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას გამოსთქვამენ სენაკის კ.-გ. რაიგანყოფილების უფროსის ამხ. კოსტა კუჭავას მეუღლის ფატის უდროოდ დაკარგვის გამო. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან სადგურზე 10 ივნისს 3 ნახ. ს. 8509

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, ხამდივნოს 3—06—88, მას ობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—37—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის 3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ბ 9408